ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 37
04/09/2020

37-04-4-202009041401

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილებისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის 28 თებერვლის №18 განკარგულების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელში განსახორციელებელი ღონისძიებები, თანახმად დანართი №1-სა.
2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - რეზო თურმანიძე).
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 17 ივლისის №25 განკარგულება.
5. ამ განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე